საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/5789
30/09/2022

5789-21-2-202209301700

შპს „მშენებელი 1616“-ს
მის: ქ. რუსთავი, XII მ/რ №1, ბინა №173

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №22201 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფ. აღთაკლიაში სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეში) გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი და დაზუსტებული უნდა იყოს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია წყალაღების წერტილიდან სამსხვრევ-დამახარისხებელ დანადგარამდე წყლის მიწოდების ტექნიკური გადაწყვეტის შესახებ;
- წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საწარმოს მიმდებარედ განთავსებულია შპს „სატრანსპორტო სამშენებლო კომპანიის“ და შპს „ჯი ეი ეფ გრუპის“ ასფალტის საწარმოები. ამასთან, მონაცემთა ელექტრონული გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ აღნიშნული საწარმოს ჩრდილოეთით, დაახლოებით 120 მეტრში განთავსებულია შპს „ჯეო სერვისის“ ასფალტის საწარმო. შესაბამისად, სკრინინგის განცხადებაში შეფასებული უნდა იქნეს არსებული და დაგეგმილი საწარმოების ერთობლივი ფუნქციონირების შედეგად ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედება;
- დოკუმენტში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია ხმაურის დონეების გაანგარიშებისა და უახლოეს საცხოვრებელ სახლთან მიღებული ხმაურის კოეფიციენტის შესახებ, ასევე „საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი/საჯარო დაწესებულებების შენობების სათავსებში და ტერიტორიებზე აკუსტიკური ხმაურის ნორმების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 15 აგვისტოს №398 დადგენილებასთან თავსებადობის საკითხი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად, სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თეიმურაზ მთივლიშვილი

სააგენტოს უფროსი - მ.შ.

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო